ხელშეკრულება 23/03/15-01

ქ. თბილისი **15.03.2023**

ერთი მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, ს.კ. 205170036 (შემდგომში „დამკვეთი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით თვალაბეიშვილის სახით და მეორე მხრივ ა(ა)იპ ”საქართველოს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაცია”, ს/კ 405190047 (შემდგომში ”ასოციაცია”), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის **მამუკა ფირცხალავას** სახით, ცალ-ცალკე ”მხარედ”, ხოლო ერთობლივად ”მხარეებად” წოდებულნი, **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“** საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული **„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის”** დებულებათა გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ასოციაცია კისრულობს ვალდებულებას, დამკვეთის მიერ შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, განახორციელოს დამკვეთის წარმომადგენლების - კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის - ანა ტომარაძის (შემდგომში - მსმენელი) სწავლება სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადების პროგრამის ფარგლებში **(CPV79632000-პერსონალის სწავლებასთან დაკავშირებული მომსახურებები)**.

1.2. სწავლების ადგილი: ტრენინგები ჩატარდება დისტანციურ რეჟიმში

1.3. სწავლების ვადა: 2023 წლის 15 მარტიდან 2023 წლის 24 მარტის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისინებული სწავლის ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდა ათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით (დღ-ს გარეშე - 211.9 ლარი).

2.2. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.3. დამკვეთი ვალდებულია სწავლის საფასურის გადახდა უზრუნველყოს სწავლების დაწყების დღეს.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. ასოციაცია ვალდებულიაა:

3.1.1 შეასრულოს მომსახურება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

3.1.2 გაწიოს მომსახურება მის მფლობელობაში არსებული ინვენტარით და კვალიფიციური პერსონალის გამოყენებით.

3.1.3 მსმენელის მიერ პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გასცეს შესაბამისი დოკუმენტები.

3.2. დამკვეთი ვალდებულია:

3.2.1 არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

3.2.2 გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

3.2.3 დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ინფორმაცია, რაც აუცილებელია მომსახურების სათანადო დროში და ხარისხით შესრულებისათვის.

3.2.4 არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც შეურაცხყოფს ასოციაციის სახელს ან რეპუტაციას

3.3 ასოციაციაციას უფლება აქვს:

3.3.1 მოსთხოვოს მსმენელს ასოციაციის მიერ დადგენილი წესების დაცვა, ტრენერებისა მითითებების შესრულება.

3.3.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათავლაისწინებული ვალდებულებებისა და პროგრამის გავლის წესის დარღვევის შემთხვევაში მსმენელი არ დაუშვას მეცადინეობებზე, გარიცხოს პროგრამიდან ან/და არ გასცეს შესაბამისი დოკუმენტი.

3.3.3 გარიცხოს მსმენელი წინამდებარე ხელშეკრულების ან პროგრამის გავლის წესის დარღვევის შემთხვევაში;

3.4 დამკვეთს უფლება აქვს:

3.4.1 შეამოწმოს ასოციაციის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მსვლელობა და ხარისხი, „შემსრულებლის“ საქმიანობაში ჩარევის გარეშე.

3.4.2 მოსთხოვოს შემსრულებელს მომსახურების გაწევისას აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიწოდების ვადის დასრულებიდან 31 დღის განმავლობაში. ფინანსური და სხვა ვალდებულებების ნაწილში - მათ შესრულებამდე

5. დავა

5.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

5.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. კონფიდენციალურობა

6.1 ასოციაცია უზრუნველყოფს მსმენელების პერსონალურ მონაცემებთან და სასწავლო-საგამოცდო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვას.

6.2 ასოციაცია უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარების პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას.

6.3 ასოციაცია იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და მისი ვადის გასვლის შემდგომაც მსმენელის პირადი ინფორმაცია არ გადასცეს მესამე მხარეს მსმენელის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. სხვა დებულებები

7.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი სახით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7.2 მხარეები უფლებამოსილნი არიან, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, მთლიანად ან ნაწილობრივ, ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ

მხარისათვის ცნობილი გახდა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

7.4 მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. მხარეთა რეკვიზიტები:

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	ა(ა)იპ „საქართველოს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაცია”
ს.კ.: 205170036	ს.კ.: 405190047
მისამართი: თბილისი, ბარათაშვილის N2	მისამართი: თბილისი, გორკის ქ. 11
ელ.ფოსტა: office@esco.ge	ელ. ფოსტა: info@oshe.ge
	საბანკო რეკვიზიტები: სს ”თიბისი ბანკი” TBCBGE22 ა/ა GE65TB7556536080100005
გენერალური დირექტორი: Electricity System Commercial Operator JSC Digitally signed by Electricity System Commercial Operator JSC DN: cn=Electricity System Commercial Operator JSC, 2.5.4.97=NTRGE-205170036, o=Electricity System Commercial Operator JSC, c=GE Date: 2023.03.15 14:42:11 +04'00' დავით თვალაბეიშვილი	მამუკა ფირცხალავა პრეზიდენტი: - Mamuka Pirtskhalava 01026004159 Digitally signed by Mamuka Pirtskhalava Date: 2023.03.15 13:59:02